# საქართველო

## სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებლის

## ბრძანება N 37 1287

04/10/2016

**სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ოფეთში მდებარე 34158 მ² სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.15.41.025) ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის შესახებ ვადაგაგრძელებული ელექტრონული აუქციონის (ელექტრონული აუქციონი ცხადდება მეორედ) გამოცხადების თაობაზე**

---

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებული იყო ელექტრონული აუქციონი (განაცხადის № 48058EKA32687316, აუქციონის № 48058, ლოტის №326873), სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ოფეთში მდებარე 34158 მ² სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.15.41.025) ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის შესახებ შესახებ, რომელზეც არ მოხდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ოფეთში მდებარე 34158 მ² სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.15.41.025) განკარგვა, მონაწილის არ არსებობის გამო (აუქციონი არ შედგა).

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების" 25-ე მუხლის მიხედვით, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას, გამოიყენება ამ წესით დადგენილი ელექტრონული ან საჯარო აუქციონის ჩატარების წესები.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების"მე-13 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, თუ არ მოხდება ელექტრონული აუქციონის ფორმით გატანილი მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვა, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, ხოლო თბილისის მუნიციპალიტეტის შემთხვევაში, ქონების მმართველი, უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ამ ქონების იმავე პირობებით, ვადაგაგრძელებული ელექტრონული აუქციონის ფორმით განკარგვის შესახებ, ხოლო მე–2 მუხლის მე–2 პუნქტის „ნ"–ქვეპუნქტის მიხედვით, ვადაგაგრძელებული აუქციონი არის

აუქციონი, რომელიც იმართება იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდა აუქციონის ფორმით გატანილი მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვა და ამ ქონების აუქციონზე გატანა ხდება იმავე პირობებით და ფასით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54–ე მუხლის პირველი პუნქტის „დ"–ქვეპუნქტის „დ.დ"–ქვეპუნქტის, „ე"–ქვეპუნქტის „ე.ე"–ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების" მე–2 მუხლის მე–2 პუნქტის „ნ"–ქვეპუნქტის, მე-13 მუხლის პირველი პუნქტის, 25-ე მუხლისა და „სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ოფეთში მდებარე 34158 კვ.მ სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.15.41.025) ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაცემისათვის სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემისა და ქირის საწყისი წლიური საფასურის დადგენის შესახებ" სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 11 ივლისის №38 112 განკარგულების მიხედვით,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

**1.1.** სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ოფეთში მდებარე 34158 კვ.მ სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.15.41.025) იჯარით ფორმით სარგებლობაში გაცემის შესახებ მეორედ გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი იმავე ფასით, შესაბამისად, გამოცხადდეს ვადაგაგრძელებული ელექტრონული აუქციონი.

**1.2.** ვადაგაგრძელებულ ელექტრონულ აუქციონზე (ელექტრონული აუქციონი ცხადდება მეორედ) სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ოფეთში მდებარე 34158 კვ.მ სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.15.41.025) ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის ქირის საწყის წლიურ საფასურად (ქირის საწყის წლიურ ოდენობად) განისაზღვროს 600 (ექვსასი) ლარი.

**1.3.** ვადაგაგრძელებულ ელექტრონულ აუქციონზე (ელექტრონული აუქციონი ცხადდება მეორედ) სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ოფეთში მდებარე 34158 კვ.მ სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.15.41.025) ბიჯი განისაზღვროს ქირის საწყისი წლიური საფასურის 10%–ს ოდენობით.

**1.4.** ვადაგაგრძელებული ელექტრონულ აუქციონზე (ელექტრონული აუქციონი ცხადდება მეორედ) ელექტრონულ აუქციონზე სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ოფეთში მდებარე 34158 კვ.მ სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.15.41.025) საგარანტიო თანხა განისაზღვროს ქირის საწყისი წლიური საფასურის 20%–ს ოდენობით.

**1.5.** ვადაგაგრძელებულ ელექტრონულ აუქციონზე (ელექტრონული აუქციონი ცხადდება მეორედ) სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ოფეთში მდებარე 34158 კვ.მ სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.15.41.025) იჯარის ფორმით სარგებლობისათვის, ქირა განაწილდება ყოველ თვეზე და გადახდა მოხდება ყოველთვიური ქირის სახით.

**1.6.** გადაგავრძელებულ ელექტრონულ აუქციონზე (ელექტრონული აუქციონი ცხადდება მეორედ) სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ოფეთში მდებარე 34158 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.15.41.025), იჯარის ფორმით, სარგებლობის ვადად განისაზღვროს 10 (ათი) წელი.

**2.** ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ვალერიანე ფოცხვერია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებელი